

ეგზისტენციალური სისავსისა და პროფესიული გადაწყვეტის კავშირი
მასწავლებლებში

ნინო მეკოვიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წინამდებარე სტატიის ავტორი, ვაცხადებ, რომ სტატია არის ჩემი ორიგინალური ნამუშევარი და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც სტატიაში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მეკოკიშვილი

20.06.2018

აბსტრაქტი

დასაქმებული ადამიანის სამუშაოს შესრულების ერთ-ერთი ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორია პროფესიული გადაწვა. გადაწვა დაკავშირებულია ადამიანის ემოციურ მდგომარეობასთან, რაც, განსხვავებით ეგზისტენციალური სისავსისა, ნეგატიურად ზემოქმედებს მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე - ქცევებზე, დამოკიდებულებებსა და სამუშაოს შესრულების ხარისხზე. მოცემული ნაშრომი ეხება ეგზისტენციალური სისავსისა და პროფესიული გადაწვის კავშირს სხვადასხვა კარიერულ საფეხურზე მყოფ მასწავლებლებში, რომელთა განაწილება მოხდა სკოლის ტიპების მიხედვითაც - საჯარო და კერძო. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 72-მა მასწავლებელმა. ეგზისტენციალური სისავსე ნაკვლევა ალფრედ ლენგლეს ეგზისტენციალური სისავსის სკალით, ხოლო, გადაწვა - კრისტინა მასლაქის პროფესიული გადაწვის საზომით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ეგზისტენციალური სისავსისა და პროფესიული გადაწვის მახასიათებლების კორელაციები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. თვითდისტანცირება, თვითტრანსცენდენცია, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, პერსონალურობა, ეგზისტენციალურობა და შემსრულებლობა დადებით კორელაციაშია ემოციურ გადაღლასა და დეპერსონალიზაციასთან, ხოლო, შემცირებულ პიროვნულ მიღწევებთან - უარყოფით კორელაციაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროფესიული გადაწვა, ეგზისტენციალური სისავსე, მასწავლებლის სტატუსი, სკოლის ტიპი.

Abstract

Job burnout is one of the most hindering aspects in job performance of employed people. The burnout is connected to one's emotional status , which, comparing to existential fulfillment, affects negatively on one's daily life _ one's actions, attitudes and the quality of job performance. The following study concerns about the connection between the existential fulfillment and job burnout among teachers on different steps of their career who were assigned to different schools according to their types – public and private. 72 teachers were included in the study. The existential fulfillment is studied by Alfred Leangle Existential Fulfillment Scale, and the job burnout _ by Christina Maslach Job Burnout Inventory. The study showed, that the correlations between the characteristics of the existential fulfillment and job burnout are statistically important. Self-distance, self-transcendence, freedom, responsibility, personality, existentiality and performance are in positive correlation with the emotional exhaustion and depersonalization, while being in negative correlation with the reduced personal achievements.

The main searching words: job burnout, existential fulfillment, teacher status, school type.